საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 138 2023 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი

„პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 18 იანვრის №10 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2023 წლის 18 იანვრის №10 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ა) **შორენა ჯაფარიძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი – **საბჭოს თავმჯდომარე;**

ბ) **ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი – **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

გ) **ტიტე ბოლქვაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი;

დ) **რუსუდან გიგაშვილი** – ა(ა)იპ – აგრო დუოს თავმჯდომარე;

ე) **ვალერი გულბანი** – ა(ა)იპ-ის – კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისათვის დირექტორი;

ვ) **გიორგი ვეკუა** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;

ზ) **ნინო ველთაური** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;

თ) **ნატალია კვაჭანტირაძე** – ა(ა)იპ – საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე;

ი) **მარიამ ქუჩულორია** – ა(ა)იპ – ევროპული ბიზნეს ასოციაციის მრჩეველი – **საბჭოს მდივნი;**

კ) **დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი